# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

## Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030152112053719



საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge


**№ 01/7714** **01 / მაისი / 2019 წ.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
თავჯდომარეს ბატონ თორნიკე რიჟვაძეს

ბატონო თორნიკე,

2019 წლის 28 მარტს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადებით მომართა ბინათმშენებლობის ამხანაგობა „აფხაზეთის ვეტერანთა საზოგადოება“-მ, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამხანაგობაში გაწევრიანებულია 2006 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყოფილი დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებიდან გამოსახლებული უსახლკაროდ დარჩენილი, 250 დევნილი ოჯახი.

ამხანაგობა „ აფხაზეთის ვეტერანთა საზოგადოების“ განცხადებით, მოძიებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული (ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N 117 ს/კ 05.26.03.013) მიწის ნაკვეთი, რომელზეც ინვესტორის მეშვეობით, განახორციელებენ მშენებლობას და 250 უსახლკარო დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით, რომ 250 იძულებით გადაადგილებული პირის ოჯახის საჭიროების გათვალისწინებით, მოცემული პროექტის განსახორციელებლად, ამხანაგობა „ აფხაზეთის ვეტერანთა საზოგადოება“-ს გადასცეთ ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N 117 (ს/კ 05.26.03.013) -ში მდებარე მიწის ნაკვეთი.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო